მოებებში მაღალმხატვრულად ასახეს ომისდროინდელი სოფლის ცხოვრება, ფრონტული ძმობა-მეგობრობა და ომის ქარცეცხლში მდგარი ადამიანის მიერ სიყვარულის თავისებური განცდა, რითაც დიდი წვლილი შეიტანეს თანამედროვე ქართული ლიტერატურის განვითარებაში.

დისერტაციის ძირითადი ნაწილი გამოქვეყნებულია სამეცნიერო სტატიებში.

1. "ფრონტული მეგობრობა რევაზ ჯაფარიძის შემოქმედებაში" თბ. გამომცემლობა "სამშობლო" 1997 წ. ოცდაორი საავტორო თაბახი.

2.ნოდარ დუმბაძის შემოქმედების ერთი ასპექტი თბ. გამომცემლობა "სამშობლო" 1997 წ. ოცდაცხრა საავტორო თაბახი.

3. სიყვარული და ომის ქარცეცხლიანი დღეები თბ. გამომცემლობა სამშობლო 1997წ. თექვსმეტი საავტორო თაბახი.

899.962.1 1605
ო-743 ოთხვი ო.
ომისდროინდელი სოფელი

ნაბეჭდი თაბა
სააღრ.-საგამ

უფასო

შეკვეთა 13

თბილისის უნი
თბილისი, ი.ჭა

1605

899.962-1
ო-743

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

თამაზი ირაკლის ძე თორდია

ომისდროინდელი სოფელი თანამედროვე ქართულ პროზაში

(რ.ჯაფარიძე, ო.იოსელიანი, ნ.დუმბაძე)

სპეციალობა ქართული ლიტერატურა

ავტორეფერატი
ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის
სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად

17

თბილისი
1998 წ. 17 02 98

ნაშრომი შესრულებულია თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრაზე

სამეცნიერო ხელმძღვანელი — ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
რევაზ მიშველაძე

ექსპერტი — ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ოთარ ბაქანიძე

ოფიციალური ოპონენტები: ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი სოსო სიგუა,
ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი გია ხოფერია

წამყვანი ორგანიზაცია—თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიური უნივერსიტეტი.

დაცვა შედგება 6.03.98 წლის 13⁰⁰ საათზე
თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის დარგის სადისერტაციო საბჭოს ~~შიფრით~~
P.10.01. C №2 ხელოვნებაზე
/380028 ქ.თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი 1/

დისერტაციის გაცნობა შესაძლებელია ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში.

ავტორეფერატი დაიგზავნა 5 ფებრუარს
სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი

Библиотека Тбилисского гос. университета им. И. Джавахишвили

-1605-

თემის აქტუალობა-მიუხედავად იმისა, რომ მეორე მსოფლიო ომი წარსულს მიეკუთვნა და ისტორიად იქცა, სწორედ ახლა აქტუალური გახდა მისი ყოველმხრივი შესწავლა-გაანალიზება, რაც უფრო ვშორდებით ომის დღეებს, მით უფრო შეიმჩნევა მხატვრული სიტყვის ოსტატთა მისწრაფება უფრო სრულყოფილად წარმოსახონ დიდი სამამულო ომის ეპოპეა. მეორე მსოფლიო ომის თემა, როგორც მწერლებისა და პოეტების შთაგონების წყარო არ გამქრალა ომთან ერთად. ომის შემდგომ ქართულ ლიტერატურაში ქართველი მწერლების მიერ შექმნილია რიგი ნაწარმოებებისა, რომლებიც თვალნათლივ აშუქებენ ომისდროინდელი ქართული სოფლის ცხოვრებას. ამიტომაც სადისერტაციო ნაშრომის აქტუალობა მით უფრო თვალშისაცემია, რაც უფრო ღრმად გავისიგრძეგანებთ საქართველოს დღევანდელ ვითარებას და მის მუხლჩაუხრელ კვეთებას წართმეული ტერიტორიების დაბრუნებისათვის. მკითხველს საშუალება ექნება ერთმანეთს შეუდაროს როგორი იყო ქართული სოფელი მეორე მსოფლიო ომის დროს და როგორი იყო იგი ამ ოთხიოდე წლის წინათ 1992-93 წლების რუსეთ-საქართველოს ომში, რომელსაც ზოგი საქმეში ჩაუხედავი ისტორიკოსი აფხაზეთ-საქართველოს ომად თვლის.

მეცნიერული სიახლე-ნაშრომი წარმოადგენს ქართველი მწერლების: რევაზ ჯაფარიძის, ოტია იოსელიანის და ნოდარ დუმბაძის მიერ ომის თემაზე დაწერილი ნაწარმოებების შესწავლის მცდელობას. ნაშრომში მოცემულია აღნიშნულ მწერალთა დამოკიდებულება მეორე მსოფლიო ომისადმი. ნაჩვენებია მათი წვლილი ომის თემის ასახვისა და ლიტერატურული გაშუქების საქმეში. ცალკეული ნაწარმოებების განხილვისას ზოგჯერ ეჭვი არის შეტანილი ამა თუ იმ სიტუაციის მწერლისეულ ინტერპრეტაციაში და გამოთქმულია საკუთარი მოსაზრებები.

პრობლემების დამუშავების თანამედროვე მდგომარეობა.

მეორე მსოფლიო ომის თემის ლიტერატურული გაშუქების საქმეში დიდი წვლილი მიუძღვის ევგენი ბართაიას. მან საფუძვლიანად გამოიკვლია ქართულ ლიტერატურაში ომის თემის ასახვის საკითხები, ომის თემას უძღვნა გიორგი ავალიანმა თავისი წიგნი "ფრონტული ძმობის ექო".

ქართულ მწერლობაში მეორე მსოფლიო ომის თემის ასახვასთან